


რედაქცია

სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.
ხელის-მარჯვენა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: В. Тифлис, къ редакцію «Дროба»
«დროების» ფსა
მთელი წლისა... 9 მან. სამის თვისა... 3 მან.
ექვსის თვისა... 5 მან. ერთის თვისა... 1 მან.



შანი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს რუსულს და სხვა ენებზე...
თუ საქიროება მოითხოვს; რედაქციის განსწორებს და შეამოკლებს დასაბუთებლად გამოგზავნილ წერილებს. დაუბუფდელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბუფებს აუტორს.
ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპიკა

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

СЪ 1-ГО ЯНВАРЯ 1884 ГОДА

ВЪ ТИФЛИСѢ БУДЕТЪ ИЗДАВАТЬСЯ

НОВАЯ ЕЖЕДНЕВНАЯ (350 НУМЕРОВЪ ВЪ ГОДЪ) ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКАЯ ГАЗЕТА

„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

подъ редакціею А. В. СТЕПАНОВА (бывш. редакторъ «Юрид. Обозр.»)

Объемъ газеты — печатный листъ средняго формата; программа — общая всѣмъ литературно-политическимъ ежедневнымъ изданіямъ.
Подписная цѣна съ пересылкою и доставкою: на годъ—10 руб.; на 6 мѣс.—6 р., на 3 мѣс.—3 р. 50 к., на 1 мѣс.—1 р. 50 к.
Подписка (городская и иногородная) и объявленія (по 5 коп. за строку петита) принимаются въ Тифлисъ исключительно въ Газетномъ Агентствѣ В. Шавердова; въ С.-Петербургѣ-же и Москвѣ—въ книжныхъ магазинахъ «Новаго Времени».
Временное (до 15-го декабря) помѣщеніе редакціи: Давидовская ул., д. Кабанова, квартира редактора.
За газетою обезпечено постоянное сотрудничество: кн. К. А. Бебутова, Вс. М. Гаршина, П. А. Измайлова, С. Н. Кривенко, Н. Я. Пиколадзе, П. А. Опочинина, А. Н. Плещеева, П. Ф. Тхоржевскаго, Гл. И. Успенскаго, Н. А. Шаврова.

შეკრები

(ქრდილოეთის საგვერცხისა.)

1 ნოემბერს.

კაბარაშხანი. ის ხმები, ვითომც ფოსტის დეპარტამენტის ნადირექტორალს პერჭილიევს აპელიაციური საჩივარი შეუტანოს, ტყუილი გამოდგა; 27 ოქტომბერს სენატის განჩინება შესრულდეს. კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს ლერმენტოვის ძე-

ლის დადგმა პატივტორსკში, აკადემიკოსი ოპეკუმიჩის პროექტი საუკეთესოდ იცნა.
ბარლინი. დიდმა მთავარმა ვლადიმირ ალექსანდრეს ძემ და დიდმა მთავარმა მარიამ შავლეს ასულმა გუმინ იმპერატორთან ისაძილეს და დღეს სადამოზე პეტერბურგში მიდიან.
სოქია. ტყუილია ის ხმები, ვითომც მთავარმა ალექსანდრემ

«დროების» ქელტონი, 3 ნოემბერი.

სიცია*)

(მოხრობა)

მოლოდინ მი ბეჭიამ რამდენჯერმე მოსივა უბეზელ ხელი და გაშტერებით ცას დაუწყო ყურება, რომელიც სრულიად მოშენილი იყო.
— რა ამბოვია? გაკვირვებით წარმოსთქვა იმან. — წვიმა კი არ ყოფილა და მე კი მთლად დასველებული ვარ?!
მერე მოაგონდა სიხმარი, მოაგონდა ბრძოლა, წვალბა, რომელიც ძილის დროს გამოიარა და მიხედა, რომ წყვეტებანი ოფლი მოსელოდა.
იმას დრო აღარა ჰქონდა ამ საგანს დაპყვირებოდა, რადგანაც ცხენის ფეხის ხმა თან-და-თან მოახლოვდა და მომავალს კი, მტერი იქნებოდა თუ მოკეთე, დახვედრა უნდოდა. შიარა ცოტა ხანაც და

მთვარის შუქზედ გაარჩია ცხენოსანი, რომელიც ნაბაღში გხეულიყო და პირუტყვს წყარად მთრახის ცემით აჩქარებდა. — შინ იქნება, რომ ასე ჩქარობს? გაუბრინა ბეჭიას თავში და მოიწვინა ყველაფრის შეტყობა.
მოხვეე გადახტა და ზედ გზის პირას ქვას გაეკრო. ცხენოსანი კი დანდობილ-დ მოდიოდა და თან ბეჭიას უახლოვდებოდა.
მობაშად ცხენი უკან მიაწყდა, რადგანაც მოხვეე გადახტომასთან ერთად ჯილაფში ხელი წააგლო და ცხენს ისე ძალზედ დაჰკრა, რომ პატროსანმა პირუტყვმა ტკივილისგან უკანა მუხლებით ჩაიკეცა. უკნობი იარაღს მისწვდა, მაგრამ გვიანდა იყო, რადგანაც ბეჭიას დამბახის ლულა გულზედ დასდებოდა.
— არ გაინძრე, თორემ მოგკლავ! დასწყვილა მოხვეემ და უკნობიც დამორჩილდა, რადგანაც ჰხედავდა, რომ მოხვეეს ჩახმხის დასხლეტის მეტი აღარა უნდოდა-ზა, რომ თავისი მუქარა აღესრულებინა. უკნობი გ-

ირველს სახელმწიფოებთან რუსეთზე, რომ ეს უკანასკნელი ბერლინის ტრატატს არღვევსო; გაულებარსის მისია ფრიად მოსარჩებელია; ჰფიქრობენ, რომ გაულებარსის წინადადებათ მიიღებს ბულგარიის მთავრობა და რუსის ოპიციონების სამსახურის შესახებ საქმეც კეთილად გათავდება.

ლონდონი. მადაგასკარის დელაქაბაში რევოლიუცია ასტუდა პირველი მინისტრი მოკლეს; ხანდევნეს ის პირნი, რომელნიც მადაგასკარელებს საფრანგეთში ჰყვანდათ გაგზავნილი და რომელთაც აბრალებენ, რომ მეტის-მეტად ბევრი დაუთმეს საფრანგეთსაო, ჭრანცუები ომის დაწყებას აპირობენ.

კაბარაშხანი. დღეს გამოვიდა პირველი ნომერი «პეტერბურგის უწყებებთან» ახალი რედაქციით.

გაზეთი გვპირდება, რომ პოლიტიკურს და ეკონომიკურს კითხვების შესახებ ის მიჰყვება პრაქტიკულს მიმართულებას და არ იქნება გატაცებული არც ლიბერალური და არც კონსერვატული დოქტრინებითა.

ბარლინი. დღეს იმპერატორმა ისაუბრა რუსეთის საელჩოში დიდ მთავართან და მის მეუღლესთან; სადამოზე იმპერატორს ჰქონდა სადილი, რომელზედაც იყვნენ მიწვეულნი დიდი მთავარი მეუღლით და გირსი. დილას გირსს

ჰქონდა ხანგრძლივი მოლაპარაკება გაცხილდთან და შემდეგ მიიღეს ის იმპერატორმა და შემდეგ რედაქციაში; გირსი ნახავს ბისმარკსა ჭრიდრისხრეში და შემდეგ წავა პირ და პირ შვეიცარიაში.

გაზეთების ცნობანი შესახებ არტიკლერის გაძლიერებისა უსაფუძვლონი არიან.

შინაური პრონია
ზარიდამ გვატუობინებენ, რომ იქაურ სოფლებში ქურდობისა და ერთმანერთის ცეცხლის-წაკიდების მოსპობისათვის მთავრობას ასი ყაზახი მიუცია თურმე მაზრის უფროსისათვის აქა-იქ სოფლებში ჩასაყენებლად.

ამ დღეებში მოვიდა სამშლვარ გარეთილად ერთი ჩვენებური ყმაწვილი კაცი, რომელიც იქ აგრონომიას სწავლობდა. მა ყმაწვილი კაცი აპირებს ჩვენში გამოჩენილი მეცნიერის პასტერის სისტემის გამოცდას შესახებ ცხვარზედ ყვავილის აკრისა. ამ ავადმყოფობით დიდძალი ცხვარი ეღუპებათ ჩვენს მეცხვარეებს და თუ პასტერის სისტემა ჩვენში გამოდგა, დიდი შეღავათი მიეცემა მათ.

ჩვენ შევიტყეთ, რომ ერთს თავისით-ნასწავლს მებანიკს მოუგონია ახალი კარვის ჭორმა და მოდელიც გაუკეთებია. ძარაგს ექნება ექვსი არშინი სიგძე და ექვსი არშინი სი-

თალს უბნობ, თუ ტყუილს... მაგრამ მაინც მჯერა შენი სიტყვები... ჩამოხე ცხენიდან და შემხდი ქობში. ამ სიტყვებით მოაშორა დამბახა და წელში გაიგდო.

— რისთვის არ გჯერა?... მორღუყოს პურ-მარლილი მომაგონდა და მარტოდ შენი დაგდება არ მოვიწოდებ... ცხოთა აღგილას, ცხოთა ქვეყანაში რას გააწყობ? მე კი ნაცნობები ბევრი მყავს...

— იარე, იარე ქობში და იქ გაიმბობ, — უთხრა ბეჭიამ და ის იყო გაბრუნდა, როდესაც გავარდა დამბახა და მოხვეე მკლავს მისწვდა, რადგანაც ტყეში ტყეიამ რბილ ხორცში გაუარა.

— ძალო, ძალო, დაუნდა ძალო! სიმწარით და სიბრახით წარმოსთქვა ბეჭიამ და კბილების ღრქიანლით გაუმიხნა თოფი ტყეში, რომელსაც ცხენი გაებრუნებინა და მიატყებდა. რამდენიმე წამმა ნიშნის ამოღებაში გაიარა, ყველა «გაჩქარებულიყო»... საერთო სიჩუმეს მარტო

*) იხ. «დროება» № 216.

განე. ღადმა და აღება ამ კარვისა აღვილია თურმე, არც მეტის-მეტი სიმძიმე აქვს, თუმცა ყოველისფრით მოწყობილია, კარით, ფანჯრით და სხე. უსი იქნება თურმე რვა თუმა-ნი. ამ კარვის გამოშვანი აპირებს თურმე პრივილეგიის აღებას.

პეტერბურგელი ქართველი სტუ-დენტები გეთხოვენ გამოვაცხადოთ შემდეგი მათი სათხოვარი ქართულ ქურნალ-გაზეთების რედაქტორებისადმი:

«ღეს ჩვენი უნივერსიტეტის სტუ-დენტების სამკითხველოში მარტო «ღრობა», «იერიია» და «ქართული ბიბლიოთეკა» მოდის. ძლიერ კარგი იქნება, რომ სხვანაც არ დაგვიწი-ყებდნენ და «იშედის», «შრომის», «მწყემსის», «ნობათის» და «მომ-ბის» რედაქციებიც თავიანთი მხრით გამოგვიგზავნიდნენ ნომრებს. რუსეთის იმპერიის ყოველის ერანების გაზე-თები და ქურნალები იგზავნება აქ, სამხლარ გარეთიდგანაც კი, მეტად-რე სლავიანებისა და სამხლარ გა-რეთელ პოლიაკების რედაქციებისაგან, და ჩვენი რედაქციები თითქო განგებ იღვენ უკან. შეძლება რომ გვეწი-დეს, გამოვიწერდით, მაგრამ სად არის? ჩვენი შეძლებით სულსაც ძლიერ ვი-ბრუნებთ და გაზეთები როგორღა გამოვიწეროთ. ამ თხოვნას ის გა-რემოვბაც გვაბედინებს, რომ ამდენი გაზეთები სულ უსასყიდლოდ მო-დის.

თუ არ დაიშურებენ და პატივს სცემენ ჩვენ თხოვნას, უმორჩილესად ვსთხოვთ პატივცემულ რედაქტორებს ამ აღრესით გვიგზავნონ ნომრები: **Въ Пет. Им. унив. Въ студен-ческую читальню.**

პეტერბურგელი ქართველი სტუდენტები, პეტერბურგ.

მართის პეტერბურგელი გაზე-თის სიტყვით ამ შემოდგომასზედ მიუ-

ყვათ ხელი ძველის ქართულის წიგ-ნებისა და ნიუების გასინჯვისათვის იერუსალიმში, სინაიზედ, ათონზედ და კონსტანტინეპოლში. ამ საქმეს ხელმძღვანელობს თურმე უფროსი მართლმადიდებელის მისიისა იერუსა-ლიმში.

ბათუმიდამა სწერენ «ნოვოე მრეჩიას», რომ პორტო-ფრანკო იქ სამს ვერსზე გაუგანიერებათ. სახელ-მწიფო ქონებათა მინისტრს გაუსინ-ჯავს, თუ როგორ აშრობენ ქაობებს ბათუმის არე-მარეში და ძალიან კმა-ყოფილი დარჩენილა. მარგა დიდი აღგილი, რომელიც უწინ ქაობებს ეჭირა, ეხლა სახანა-სათესად გამოდ-გება თურმე.

მარგი ხანია, რაც მუთაისი გრძნობდა ახლის სასაფლაოების სა-ჭიროებას. ძველი სასაფლაოები ეკ-ლესიებთან ისე აიგო მიცვალებულე-ბით, რომ ხშირად ჯერ კიდევ და-უხრწნელს გვამს ამოთხრიდნენ ხოლ-მე, თუ ახალი მკვდრის დასაფლავება უნდოდათ. აღარც უჩივებისა და სომ-ხებ-ფრანგების სასაფლაოებზედ მოი-ძებნებოდა თავისუფალი ადგილი. როგორც იყო ახლა ეღირსა რიონის მარცხენა ნაპირის მოსახლეთ მანც ახალი სასაფლაოები. მუთაისის სი-ზნთით განთქმულმა თვით-მმართვე-ლობამ გამოძებნა, როგორც იყო, თავისუფალი ადგილი საღორიის ეზერ-ში და მიუჩინა ქალაქის ერთს ნა-წილს სასაფლაოდ. ეს სასაფლაო ად-გილები გარდაეცა მცხოვრებლებს ამ თვის 30-ს რიცხვს. მცხოვრებლებმა თვითონ უნდა გასწმინდონ ეს ად-გილი. ძველს სასაფლაოებზედ მკვდრე-ბის დამარხება აღიკრძალება სამი თვის შემდეგ ამავე თვის ექვსი რიც-ხვიდან. ეს ძალიან კარგი, მაგრამ, მგონია, დრო არის ქალაქის თვით-მმართველობამ რიონის მარჯვენა ნა-პირისაკენ მცხოვრებლებზედაც მოი-

ატარებს. მაქონილი კანაფი ფილთა-საგით გააგმელა და იარის პირებში «სანახავად» მისცა. პერანგის სახე-ლით მაგრა შეიკრა იარა და წავიდა თავის ქონში, სადაც გათენებას მო-უთმენლად ლოდინი დაუწყო.

XX

ალიონის აწევასთან ერთად, ბეჟია გამოვიდა კარზედ, ჩავიდა წყაროს-თან და იარა, რომელიც მარილს მთლად მოეშუშა, კარვად მოიბანა; მერე ისევ გაქონილის კანაფის ფილ-თა გაიკეთა და ნაპირებზედ წერწყვით დასველებული მრავალ ძარღვას ფოთ-ლები გადააფარა, რომ ჭრილობას ხავარი არ აეკრიფა.

ბეჟი სისხლის დენას მოხვევ არა მცირედ დაესუსტებინა და იმისი მა-გარი აგებულება შიმშილს აგრძო-ბინებდა. შასინჯა გუდა, რომელშიც გამხმარი მჭადისა და ყველის ნამ-ტვრეები ეყარა და იმითი ისაუზმა, დალია წყალიც და წყნარად შეუდგა მთასა.

ბეჟიას ხშირად დასვენება სჭირდ-

ფიქროს და იმათაც მისცეს სადმე ახალი სასაფლაო ადგილი. მეტადრე საესეა მკვდრებით წმ. ბიორგის ეკ-ლესიის გალავანი. მაცვალებულთა კუბოები ერთი-მეორეზედ არიან და-მარხულნი და საშინელი, ათას-გვა-რის ავად-წყოფობისგამჩენი, მძოვრის სუნი ტრიალებს მის ახლო-მახლო. აი სწორედ ამ ადგილზედ ითქმის: ადგილი ესე არს სასიკვდინე მცხოვრებთათვის; თუმცა ჩინოტკიანისა მარკებელი, ხოლო მთელის კაცისა ჩინოტკის გა-მჩენი საშუალება.

ჩვენ სარწმუნოდ შევიტყვოთ, რომ სამეგრელოს სასულიერო სას-წავლებლის ზედამხედველს ბ. ხელა-შვილს თხოვნა მიუცია და სამსახუ-რისათვის თავი გაუწეებია. ჩვენ, რა-საკვირველია, არ ვიცით, თუ რამდენ-ნად საფუძვლიანი იყო ის ხმები, რო-მელნიც მანდ გვესმოდა და იწერე-ბოდა კიდევ ჩვენს გაზეთში. ეს კი უნდა ვიფიქროთ, რომ აქ მცირე ადგილი არ ექნებოდა ჩვენებურს ინტრიგასა და მათქმა-მოთქმასა. ბ. ხე-ლაშვილის მაგიერად ამწესებენო ზე-დამხედველად რუსს, მბილისის სასუ-ლიერო სემინარიის ერთს მასწავლე-ბელსაო.

წერილი პეტერბურგად.

ნათქვამია, ღმერთი ისე არ გასწი-რავს თავის განაჩენს, რომ ერთხელ მანც არ მოხედოს წყალობის თვა-ლითაო; ან პირ-და-პირ სასწაულით იხსნის, ან და სხვების მავალითის ყუ-რებით ახსნენივნს თავსაო; მაგრამ ახლა იმისთანა დრო შეგვხვდა, რომ კიაც კი იბრძვის თავის არსებობისა-თვის და კაცს ხომ გულზედ ხელების დაკრეფა უკრო არ შეგვჩენს...

შალა ისეთი დროა, რომ კაცმა თუ თავის გამოჩენისათვის არ იზრუ-ბოდა, რადგანაც სისხლ-მოკლებული გული ჩქარ-ჩქარად აუჩქაროდებო-და და დასუსტებული ძარღვები ცან-ცანს დაუწყებდნენ ხოლმე.

ის თან-და-თან გაიმართა, მუხლე-ბი გაუმაგრდნენ და ნაბიჯიც გაუ-სწორდა. მოხვევ არ იყო განაზებუ-ლი და სიცოცხლის ძალა ადვილად შევლოდა ძალის აღდგენას. შეკრუ-ლი ხელი, სისხლში ამოსვრილი ტა-ნისამოსი და ფერმიხდილობა აქტი-ვებდა, რომ მოხვევ კარვად ვერ იყო, თორემ სხვაფრად ვერას შეატყობდით. ჩვეულებრივი დაღონება, ტკივილის უძვეელი შედეგაც არ იხატებოდა მის სახეზედ.

მრთაშად უკანდგან მოესმა ცხე-ნების ფეხის ხმა და მოიხედა, — რამ-დენიმე მხედარი, მორთულ-შეკმაზუ-ლები მხიარულად მოდიოდნენ.

ბეჟი ამ ადვილად გარჩია, რომ ესენი მთის ქისტები იყვნენ და წა-მოწვეის უმაღ მიესალმა.

მომავალთ მაღლი გადუხადეს და პირველსავე შეხედვაზედ შეამცნიეს,

ნა, თავის თავი უნდა დამარხულად ჩასთვალოს. თუ გვიხდა, რომ მურობამ ჩვენზედ სწვროს, ჯერ ჩვენ უნდა შეგ-ვისწავლოს ან შევასწავლოთ ჩვენი თავი, რომ აწინდელის პროგრესის ასპარეზზედ პატარა ალაგი ჩვენც და-გვიტომან. თორემ ჩვენზე, განსაკუთ-რებით ჩრდილოეთისკენ, სრულებით არაფერი იციან. მბილისი სომხეთის სატახტო ქალაქი ჰგონიათ, მიმიადინი მბილისის მახლობლად; ქართული სახელმძღვანელოები სომხურ სახელ-მძღვანელოებთან ეჩვენებათ; ზოგი კათედრიდან თავებდად სირეგვენს გვეამებს — ქართველებს მიწის მუ-შაობა თბილისელ გერმანიელ კო-ლონისტებმა ასწავლესო. ამისთა-ნა აზრები რომ გამოვკრიფოთ დღეს მეროპის ლიტერატურიდან, მრთელი წიგნი დაიწერება; მართალია სი-მართლე მათში ცოტა იქნება, მაგ-რამ ძალა მანც ექნებათ, იმიტომ რომ დაბალს ღობეს ყველა ზედ გა-დააბიჯებს.

სამეცნიერო მოღვაწეობიდან უინ-ტერესო არ იქნება შევატყობინო მკითხველს ორიოდე ჭაქტი «ქართ-ველოლოგიის» ამამალლებელი, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ. თუ რაოდ-ნად მიიქცია ჩვენმა ძველმა ხელ-ნა-წერმა ლიტერატურამ ევროპიელ მეც-ნიერთა ყურადღება, ეს იქიღამა ჰსჩანს, რომ შარშან ზაფხულს პა-რიჟელი ორიენტალისტები ოფიცია-ლურად ითხოვედნენ აქაურის პალეს-ტინის საზოგადოებისაგან სამეცნიე-რო აკადემიის საშუალებით პეტრე ქართველის ბიოგრაფიის პირს; თუ მოგვხსენებდათ, ეს პეტრე ქართველი იყო, მათუნის ენისკოპოსი და ქართ-ველთა მეფის ბარასაკურის ძე. მის ბიოგრაფიაში, რომელიც სირიული-დან ქართულად არის თარგმნილი. შემოხსენებულნი ორიენტალისტები ბეერს იმისთანა ცნობებს ჰპოვებენ, რომელნიც ზოგიერთ ისტორიულს

რომ მგზავრი დაჭრილი უნდა ყო-ფილიყო.

მისტებმა შეაყენეს ცხენები, ჰკით-ხეს ვინაობა და იმის დამპყრელის სა-ხელი.

— ლარსელმა თემურყომ დამ-ჭრა, — უპასუხა მოხვევმა.

— ოსმა? — ჰკითხეს იმათ.

— ოსმა.

— ოსი იქნებოდა, სტუმარს კაცს აქ სხვა ვინ დასჭრიდა! — წარმოსთქვა ერთმა, ცხენიდან გადმოხტა და ბე-ჟიას უთხრა: მოდი ცხენზედ შე-ჯექ.

— არა მიშავს-რა, ასეც კარგათა ვარ.

— მოდი, მოდი — დაჭრილი ხარ.

— მოიცა, კრილობა ეუნახოთ, იქნება კარვად ვერა აქვს შეკრული. დაუმატა მეორე ქისტმა და მივიღე მოხვევსთან.

შველანი ჩამოხტნენ და მივიდნ დაჭრილთან, გაუსინჯეს შეკრულო-ბა და მოიწონეს.

— მარლი არ ჩიყარე? ჰკითხა ერთმა.

ჭაქტებს ნათელსა ჰყენენ. ჯერ ის უბრალო გარემოებას სასიამოვნო უნდა იყოს ჩვენთვის, რომ საფრანგეთის მეცნიერები ჩვენი ხელოვნების გარჩევას შეუდგნენ. ამ ამბავს არა ნაკლებ სასიამოვნო ჭაქტი უნდა დაუერთო: სწორედ ამავე ხანებში ბერძანიელი მეცნიერი ბერლინიდამ ითხოვდა ბატ. ჩუბინაშვილისაგან რუსულად თარგმნილ მახტანგის სჯულებს. მაც სანუკეშო მოვლინება უნდა იყოს, რომ ქართული სჯულდებულობა სხვების ცნობის მოყვარეობასა ჰსძრავს, თუმცა აქაურნი საგნის უმეცარნი კათედრიდანაც კი ბეღენ თქმას, ბიზანტიის სჯულდებულობა ქართველებმაც კი გაიცნეს; იმათ ორიგინალური არაფერი არ მოეძებნებათო, მათი სჯულდებულობა სულ უცხო ხალხების სჯულთაგან შესდგებაო.

მითხველებს უნდა ეაცნობოთ აგრეთვე, რომ «მართლის ცხოვრება», რომელიც ძველადგანვე იყო ცნობილი, მე-X და XI საუკუნეში სომხის სწავლულებმა თარგმნეს და ახლა მხითარისტები ამ სომხური თარგმნის დაბეჭვდას აპირებენ. სომხურის ენის პროფესორს ბ. შინს განზრახვა აქვს ეს თარგმანი სთარგმნოს რუსულად და შეადაროს ახლანდელ «მართლის ცხოვრებას», რომ შეიტყონ ნამდვილად, რანაირი ცვლილება მომხდარა მახტანგის კომისიის გამო.

ამ სამოქალაქო ისტორიისა და ზოგადოდ ლიტერატურის ისტორიის საქმეს არა ნაკლებად მოუწყობს ხელს ის გარემოება, რომ ბ. მქრომიძის მიერ დაბეჭვდას მოსული ქართული ისტორიული და ბელეტრისტიკურის ხელთაწერების ბეჭვდას. ეს საქმე თუ აქ დაიწყოს, ჯერ იმ გულ-გრილობისა და დაუდევრობის ბრალია, რომელითაც თბილისელები ეკიდებან ამ საქმეს; მაგ. ჩვენ

ვიცი, ჯერაც არ გაუთავებია კომისიას «მისრამიანის» რედაქციაო.

პირველად დაიბეჭვდა, როგორც ბ. ჩუბინაშვილი ამბობს, «მეფის-ტყაოსანი» თეიმურაზის სრულის განმარტებითურთ; შეიძლება ორ ტომათაც გაიყოს სიდიდის გამო. ბ. ჩუბინაშვილის ახალი ქართული გრამატიკა ორი სამი დღეა, რაც დაიბეჭვდა და მალე გამოვა. რაც შეეხება მის ღირსებას და მეთოდს, ეს კრიტიკის საქმეა და ამას კი ამბობს თვითონ ავტორი, რომ გრამატიკული კანონები სახალხო პოეზიაზედ მაქვს დამყარებულიო და პირველის შეხედვით თითქო უკანონო ზმნები ყველა კანონიერება ჩემს გრამატიკაშიო, ასე რომ შეიძლია თუ მოიძებნება ქართული ენაში არაკანონიერი ზმნაო. თანაც დასძენს სამღვთო წერილზე გრამატიკის კანონების დამყარება შეუძლებელიო, რადგანაც არამც თუ ეტიმოლოგია, სიტყვის საქცევიც კი უცხო არის მომეტებულ ნაწილათაო. ასე რომ ახალი რედაქცია საჭიროა სამღვთო წერილისაო; თუ არ ბილწვენ ჩვენს ენას, მაშ რას შერებინა ეს უცხო ზრახვები: «შემიწყალენ ჩვენ» «იესოს შობასა დღესა იროდი მეფისათა», მის მაგიერ, რომ ვსთქვათ: «შეგვიწყალენ (ჩვენ)» «როდესაც იესო იშვა იროდი მეფის დროსა».

ამ სალიტერატურო ბაასმა მოიტანა და მინდა რომ ბ. ნანიშვილის წერილზე შესახებ პ. შ-ის წერილებისა ორიოდ სიტყვა ვთქვა: ბ. ნანიშვილი ამტკიცებს ჩვენგან კარგად ცოდნას ლიტერატურისას. მაშ რა მიზეზია, რომ ქართველი ინტელიგენციის გონებითი ძალ-ღონე მარტო დღიურ ინტერესებზე და განხილვებზე ფურცლებზე იღვწა? შურნალ-განხილვების გარე რად არ არის ჩვენში გონებითი მოღვაწეობა? სამეცნიეროს არ ეკითხა, პედაგოგიური სახელმძღვანელოები სად არის? მიიყენეთ

— ჰაი, ჰაი, რო ჩაიყარე.
— მარლი კარგია, ცოტას დაგწავს, მაგრამ სისხლს მაშინვე შესწვეტს და დაბეჭვდას ხორცსაც მოშუშავს.
ამ სიტყვების შემდეგ ისევ მოხვედს მიუბრუნდა და ჰკითხა:
— პური თუ არ გშიან?
— პური-კი მშიან, — უპასუხა ბეჭიამ.
პური უმცროსთაგანი გაბრუნდა, ამოიღო ხურჯინიდან პური, მოხარული კვერცხები, ქათამი და დაწარჩენებს მოუბრუნდა:
— თქვენც პატარას თუ არ შენაყრდები?
შველამ თანხმობა გამოაცხადა. სხენების აღვირები ისევ გადააცვს უნაგირის ტახტებს, რომ გაქცევა არ შესძლებოდათ და ქვეზედ ჩამოსდნენ. უმცროსმა მოიტანა საქმელი, პატარა კურჭლით შინაური არაყი და ერთს სიპს ქვეზედ «სიფრო» მოაწყო.
შველანი სთავაზობდნენ ბეჭიას, მზრუნველობით ექცეოდნენ, რადგან

ნაც მოხვევ სტუმარი იყო და ამასთანავე დაჭრილიცა.
პურის ჭამაზედ ბეჭიას კითხვით თავს არაფინ აძულებდა, თუმცა ყველას გულით შეტყობა უნდოდა ან რა საქმე ჰქონდა, ან რისთვის დაეჭრათ.
ბეჭია ისე უამბობდა თავის ანბავს, რამდენათაც თითონ საჭიროდ სთვლიდა, მაგრამ მის გულში ჩახედვას არაფინ ცდილობდა. მოხვევმ შეატყობინა, რომ ის ოსმა ლალატით დასჭრა, გააგებინა, რომ ერთს ჩეჩნელთან, რომელიც ესლა ჭარბაში არის, მტრობა ჩამოუყარდა; უთხრა, რომ მასპინძელი არა ჰყვანდა და ამით გაათავა. მგზავრების შორის სამნი იყვნენ ჯარიახელები და მასპინძლის ხსენებაზედ სამთავ შემდეგის სიტყვებით მიამუშურეს:
— სტუმარი ღვთისაა, ჩვენსა წამოღი.
ბეჭიამ მადლი გადაიხადა, მაგრამ მასპინძლებს იმაზედ დაეა გაუხდათ, თუ სტუმარი ვის უნდა დარიხნოდა? ისინი ბაასობდნენ, ცხარობდნენ, და

ერთი საქართველოს პოლიტიკის, ეკლესიის და ლიტერატურის ისტორიის სამაგალითო სახელ-მძღვანელოები, რომ ჩვენმა ყმაწვილებმა პირველდაწყებითი ცნობები შეიძინონ თავიანთ ვინაობის შესახებ. საუბედუროდ არამც თუ საყმაწვილო ნაწერი, — სამეცნიეროზე ნულარას ვიტყვი, არც ის წიგნები გვაქვს თარგმნილი, რომელნიც საკუთრად ჩვენ შეგვეხებინა. ბროსეს ნაწერების თარგმნას შეგვიპირდენ და ისიც ვერ მოუხერხებიათ ჯერ.

რის ნაყოფი უნდა იყოს დღეს ამ გვარი მოვლენა, მართლა იმისი, რომ ჩვენს ლიტერატურის უმეცარნი ვართ, საზოგადოდ ჩვენი განუვითარებლობის თუ კერძოდ მარტო ქართულის უცოდინარობისა? ამის პასუხი მკითხველმა თავის თავს მოსთხოვოს. ახალი მეცნიერება ჩვენმა ინტელიგენციამ ცოტად თუ ბევრად რომ იცის, ეს ცხადია; მხოლოდ უმაღლესის სწავლის სიტკბოების ხილვა საწუთრომ სხვა ენაზედ ახვედრა მას; რომ სამშობლო ისტორიის და საზოგადოდ ლიტერატურის ცოდნა სუსტი უნდა იყოს, იქიდანა ჰსჩანს, რომ უძვირფასესი დრო ინტელიგენციის მომეტებულ ნაწილს გატარებული აქვს კლასიციზმის შესწავლაში...

25 ოქტომბერი.

სხვა-და-სხვა ამბავი.

ღვთის მშობლის ეგვიპტეში გაქცევის მოწამე ხე. ჰქვდა ეგვიპტეში, მატარებელ წოდებულს ადგაზე, სდგას ერთი ძველი ხე, რომლის ჰქვდაც, როგორც გარდმოდება ამბობს, ყოვლადწმიდა ქანწულმა მარამა დასკვნა თავის დედაბუნებში, როდესაც ის ეგვიპტეში გაიქცა. ხედივს ეს ხე ნახალხურ

ერთმანეთს არწმუნებდნენ, რომ ყველაზედ უწინ არა მე დაეპატივე, არა მეო. ისინი სტუმრის წაყვანას ერთმანერთს ეცილებოდნენ და სათაკილოდ სთვლიდნენ სტუმარი მეორესთვის გაყვალდნათ.
ბოლოს ერთი წამოდგა და დაიძახა:
— მიდღეში აქ-კი არ დავრჩებით, წილები იყარეთ და ვისაც შეგხვდება, სტუმარიც იმან წაიყვანოს.
— ძარგი, კარგი! მოისმა ყოველის მხრიდან.
— მაშ მე «გავიბუტები». საქვა იმანვე, ვინც წილის ყრა არჩია და გავიდა განხედ.
სამმა მოდავემ აირჩიეს წილები, დაუძახეს «გაბუტულს» და მის წინ სამი სხვა-და-სხვა სიდიდის კენჭი დასდევს. ახლად მოსულმა გადავლო კენჭებს თვალი და დაიწყო.
— ეს ბატარაი, უჩვენა მომცრო კენჭზედ, უმცროსია — უნდა გაჩუმდეს. — ეს კი ისეც დიდია — სტუმარი არ დააკლდების. მოდი და ისევ ამ შუთანას ჰყვანდეს.

მესამის ცოლს ეკვნიას ანუქა, როდესაც ის ეგვიპტეში იყო სწავლისას, გაყვანისას დაესასწაულნენ დასასწავლად. დადოვდა ეკვნიამ ამ ხეს შემოავლო მშვენიერა მესერი. შემდეგ იეზუიტებმა შეისუიდეს და ესლა მათი საკუთრება არის. იეზუიტები ამ ადგილზე ახირობენ ყოვლად წმიდა ქანწული მარამის სახელზე სამლოცველოს გაკეთებას და ინგლისის გამგებლისგანაც უკვე მიუღიათ ამაზე თანხმობა.

ახალი სასჯელი. მქსიეის ქალაქში გუანოქსუტოში მსატრობა ძალიან ცუდად იცინა; მაგრამ იქაური ყურნალისტები მანინ ზოგჯერ დაბეჭვდავენ ხოლმე იქაურ და უცხო ქვეყნელ წარსინებულთა ზოარტრეტებს და, რადგანაც არაფინ არა მდომობს, რომ მის სახე დამსინჯვული გამოვიდეს, ამისათვის სამჯავრო დაწესებულებანი გადუწვევან ხოლმე დამსაქვეთ მათი ზოარტრეტების გახეტებში დაბეჭვდავენ. ამბობენ, რომ ამ ზომამ ძლიერ კარგი გაკუნა იქონია მცხოვრებლების ხსენაზედა, რადგანაც ეს სასჯელი ძალიან სასტიკ სასჯელად მიანხათ იქაო.

110 წლის ბებერი. კვდის წყაროზედ, სურამის ახლო, ცხვორებს თურმე ერთი მოხუცებული დედაკაცი, მათი განგლამის ცოლი, რომელსაც ჩამოკვლავა 360 სული ჰქვას. თითონ 110 წლისაა და თვალთავან კარგად ჰხვდავს.

სტენაზე ჰკუხე შენლა. საფრანგეთადგან იწერებან შემდეგს სავიარჯულს ამბავს, რომელიც მომხდარა ეტენეს ქალაქის თეატრში შიესის «ც-და-ათი წელიწადი ერთი ქალაქის მოთამაშეს ცხვორებდად» წარმოდგენის დროს.

ხსენებულს შიესში ყოფი დე-ჟერმანის როლს თამაშობდა ბ. დანტლი; ამის მეტად ამას ეს როლი არ უთამაშინა, და როდესაც ფარდა ახსდა მათეურებლები გააცრა იმისმა ხმამ და არა-

— მე მერგო! სიხარულით წამოიძახა ოცის, ოც-და-ერთის წლის ყმაწვილმა ბიჭმა და ხელი გაავლო მოხვევს, თითქოს ეშინოდა, რომ არაფის წაერთო.

მრი მოდავე-კი დაღონდნენ, ჩაღუნეს თავები და უსიამოვნობის ნიშნად გვერდზედ გადაფურთხების მეტი ვეღარა მოახერხეს-რა.

მოხვევს უხაროდა, რომ ამისთანა გულუხვს მასპინძლებს შეხვდა, თუმცა იმათი საქციელი სრულიადაც არ აკვირებდა, რადგანაც ამ გვარს შემთხვევაში ისიც ასე მოიქცეოდა და უკანასკნელს საშუალებამდის ეცდებოდა სტუმარი სხვისთვის არ დაენებებინა-

ცოტა ლაპარაკისა და ხუმრობის შემდეგ ისინი შესდნენ ცხენებზედ, მასპინძელმა სტუმარი შემოიხეა და გასწიეს ხატობას, სადაც წინადე მიღოდნენ.

ა. მოხუცბარიძე.
(შემდეგი იქნება)

ბეულები იმისათვის, რომ ისინი დაეხმარებოდნენ, თითქმის ბლერინსკი, და ისე იკვანებოდნენ, როგორც ნამდვილი გიგანტები. როგორც მალან ასევე მადონა მონათმშენებელი, განსაკუთრებით იმ ქალთან, რომელიც ამჟამად როსსი მონათმშენებელია. ისინი დაეხმარებოდნენ სხვადასხვა განხორციელებული სახით. შემდეგ აიღო კარგად და, როგორც ნათქვამი, ისე გადისროლა. როგორც სტენიფანს გადიოდა, თავი წინ ეჭირა ისე, თითქმის კედელს უხდა და ეკვანებოდა და ტინი სედე შენობისათვის. ამდენად ხანი მადონა, იმდენი ის უფრო სარგებელი იქნებოდა. მსურველები სოფელში იმდენად, რომ ის მოვალეა, როგორც კონსტანტინე იმდენად თავის შობს და ამისათვის ტანს უფრო ადვილად. მეთქვამს მოქმედებაში კი გამოიყენებოდა სპეციალური იყო. იმას, თანახმად როსსის, სხვადასხვა სეკში, და მსურველებს უმინოდან ან დაეხმარებოდა იმ ქალს, რომელიც ამჟამად თავის შობდა. ბოლოს, როგორც ამჟამად მიწისზედ ვარდება და უფრო უნდა ასწიოს და კულისების უნდა გაიტანოს, დასტავი ექსპერიმენტის, როგორც განთავსებული ნაღობი, აიყვანა სეკში და კარებს დაეხმარებოდა იმის თავი. მსურველები აღტაცებულნი იყვნენ, მაგრამ, როგორც აღტაცებამ გაუჩინა, ყველამ გაიგო, რომ ფარდის უნდა რაღაც ცუდი ამბავი. იქიდან მომდინარე საშინელი ხოცობა და შემთხვევითი უფრო იყო. გამოჩნდა, რომ დასტავი სპეციალური შეშლილიყო. გამოიყენებოდა სტენიფანს და აქედან ღოჯებს ეკ, სადაც სედე ვარდებოდა ყველას, ვინც კი სეკს მიატანდა დასტავად. ერთი აქტრისა ენაღამ დასტავი, მეორეს შიგ ღოჯაში უნდა. შემდეგ, როგორც იყო, დაეხმარებოდა უბედური, შეკრეს და სოლიდობაში წაიყვანეს. როგორც გაუჩინა სიფიქსი, დასტავი სტავა — ეს იმიტომ დამატებით, რომ ვირველს აქტრისასთან ხსობი მიამივიდა. — მაგრამ ეს არაფერი არ დაუჭირა მას.

მსტინიფი მგლობელი. ვარაუდის ერთს საფეხში ამ დღეებში მოკვდა ტინარი მორეუ, რომელიც ოდესმე ვარაუდის ოპერის დამამშენებელი იყო თურმე. მორეუს არტისტულ ნიჭთან გასაკვირვებელი სტენიფანს ნიჭიც ჰქონდა. ერთხელ თეატრში, როგორც მსურველები თურმე უსტენიფანს და უმეგონს, მორეუ მოდდა წინ და სთხოვა მსურველებს ორიოდ სიტყვა მათქმეინეთო. როგორც სედე ნება დართეს, იმან სთქვა: «ბატონებო, თქვენ სრულიად არა გცოდნათ სტენიფანს, ნება მომეცით მე გასწავლოთო» — სთქვა ეს და ერთ ასეთი ნიჭი დაუსტავინა, რომ გასტენიფანს მსურველებს უნდა აღარ იცოდნენ, რა ექნათ და საშინელი ტანის კერა ასტენიფანს.

სიტყვა-მოსწრებელი დოქტორი. თავად ბისმარკი საშინელი სედე ადგილით არის ავად. ამ ბოლოს დროს იმან ერთს ბერლინის გამგებელს ექიმს სთხოვა წამლობა. ექიმი, დასკვირვებით, მივიდა

იმისა და, რა წამლე შეედა, სისამოლებიც აღარ დაეხმარებოდა. ბისმარკი და ისე უნდა, ისე გარკვეულად და ნამდვილად აუწყეს ამ ავად-მეობის თვისება და ნიშნები, რომ «რეინის კანცლერი» გასტენიფანს იმის ცოდნით და მკვსად ექიმს:

— გადრედას ამ ცოდნას შეიძლება დიო, რამდენი ვატი მოჭვლით?
— მინც-და-მინც იმსე ბეგრად ნელები, რაც თქვენს ბრწყინვალესს მოუვლავს, — უდიდობისა თვის დაეკრით უმასუსა ექიმს.

განხილვები

თბილისის ქალაქის გაგებობა
ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ წლის 1-ის ნოემბრიდან ქალაქის სასარგებლოდ გარდაწყვეტილი გარდასახალი მიიღება ბამგეობის კასში დილის 9 საათიდან ნაშუადღევს 2 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 8 საათამდე. (3-1)

თბილისის ქალაქის გაგებობა
დანიშნა ვაჭრობა თვისის თანადანს წრებით 4-ს ნოემბრისათვის ამა წლისა. ეს ვაჭრობა შეეხება იჯარით გაცემას იმ მიწის სამუშაოსას დილების კუნძულზედ, რომელიც საქირიას წყლის გასაყვანი ცილტრებისათვის. ბამგეობა იწვევს იმით, ვისაც სურს ამ სამუშაოს აღება, გამოცხადდნენ ვაჭრობაზედ შუადღის 12 საათზედ. პარობების ნახე შეიძლება გამეობაში (უპრაუში) ყოველ დღე დილის 10 საათიდან 2 საათამდე შუადღის უკან. (3-3)

გამსვენებელი კასისა გრიგოლ ბარამოვისა და კოპ.

ამით აცხადებს, რომ ამა კასის წინ მეთაისში, 15 და 25 ნოემბერს, განსუილება ქალაქის აუციონისტების ხელით, ის გირაოები, რომელიც არ გამოუხსნიათ ორის თვის შეღავათის მიცემის (ლოგოტის) შემდეგ, ოქროსი, ვერცხლისა და სხვა-და-სხვა ნივთები. (10-8)

სასტუმრო (გოსტინიცა) „იხალია“

ნიკოლაევის ქუჩაზე, მორორცოვის ძეგლის (პამიატნიკის) მახლობლად ჩემს საკუთარს სახლში.
ნომრები მშენიერად მორთულია ელექტრიკის დასარკვის ზარით და მარდი მოსამსახურებით. სასტუმროსა აქვს ბუფეტი. შასი ნომრებისა, საქმელებისა კარტით და სასმელებისა ნაკლებია.
სასტუმროს ზატონი ბ. სარქისოვი. (30-24)

მლის ბალტოები, კაცის ქუდები და სხვ. იყიდება იათ ფასად ინგლისის მალაზიაში, რომელიც არწრუნის გალერეაში იმყოფება. (10-8)

ინგლისის გალერეა

Maison de confiance

შეღარეო ჩვენი ჩაი	მოსკოვის ჩაი
1 ჰ. 10 კ.	1 ჰ. 40 კ.
— — 1—20	— — 1—60
— — 1—40	— — 1—80
— — 1—60	— — 2—
— — 1—80	— — 2—50
საუკეთესო 2—	— — 3—

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, გრაზოტები, ჭრ. ტყელი, ჩაინები, გასაღებები, დასები, კოვზები, ტანსები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაპო, განიეები, მურაბები, მაგნიზია, უნაგირები, ვლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, სელ-სასონები, მაგისტრის გალერეა—სულ ყველაფერი 25-დან 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსაზე მალაზიაში.

ვინც ქალაქს გარედან 25 მანეთიდან 1,000 მანეთამდე სჭინავს გამოიწესოს, გასაგზავნის არაფერს არ ისტავს. (100-62)

ინგლისის მალაზიაში


თინ-სამოაზანი

ამაგებს თმას და აღიანდელ ფერს აძლევს. ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100-61)

გაზანად

ხორავისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდახელ 1 ნომბრიდან 1 დეკემბრამდე 1883 წ.

გამომცხვარი ზური რუსთის ფეკილისა — 1 გარ. 5 კ.
აჭარის ფეკილისა: ვირ-ველის სარისისა — 1 გ. 3 კ.
მეორისა — 1 გ. 2 1/2 კ.
იმავე ფეკილ. თორანში გამომცხვარი:
ვირველის სარისისა — 1 გ. 5 კ.
მეორისა — 1 გ. 3 კ.
მესამისა — 1 გ. 2 1/2 კ.
ჯვარის-მამის ზური:
ვირველის სარის. ღავაში 1 გ. 5 კ.
მეორის სარის. ღავაში 1 გ. 3 1/2 კ.
მესამისა — 1 გ. 3 კ.
ქარხის სარცი:
ვირველის სარისისა — 1 გ. 8 კ.
მეორისა — 1 გ. 7 კ.
სუფი — 1 გ. 15 კ.
ცხვრის სარცი — 1 გ. 7 კ.
ღორის ღორცი:
ვირველის სარისისა — 1 გ. 10 კ.
მეორისა — 1 გ. 9 კ.



ინგლისური ჩაინის კრავობები
ერთის საწოლი 7 მანეთიდან და ორის საწოლი 14 მანეთიდან, მათი ლეიბები, სღვის ბაღისათ გატენილი 5 ღვან 8 მანეთამდე. ვიდრე შემდეგი ნივთები იყიდება 25% -ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანის მეტალის ნივთები, ჩაინები, სავარაქე, საშაქრე, ჩაისა და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფადნოსი, დასადგმელი, ვირის-სახანო, სტაქნები, სუფოგნივი, საწურა-კები, რიშეები, გრაფინები, საქაშები, თეფები, ბლუდები, სასალათები, ტანსები, სარძეები, სამარილები, განი-რის საფეხები, უნაგირები კაცისა და ქალისა, ავირები, სლასტები, ტანის-მოსის დასაგადებლები, სხვადასხვა მარტ-ლები, გაქსები, უთოები, წისკვილები, სურსები, ქლიბები, ვლიტები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, ვიეები, სა-რიალები, გაშირელები, საფანები, ნი-ბები, ვატერპოტები, სახეი, სულეები, წინდები, სუფრები, საღებავებისათვის რგოლები, ემდინი ჭურჭელი, მურა-ბები, გამიეტები, ვიეულები, სოფსები, სღვის ბაღისა, დამიკიტანები და სხ. ინგლისურს მალაზიაში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს უფრადება მიეჭიეთ. (100-16)

ინგლისის მალაზიაში

თინ-სამოაზანი
ამაგებს თმას და აღიანდელ ფერს აძლევს. ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100-61)

რეინის გზა

თბილისიდან ქუთაისისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით.
თბილისიდან საშურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდან ბაქოსკენ 11 საათზედ და 11 წამ. ღამისა.
ბაქოდან თბილისისკენ 10 საათზედ და 23 წამ. დილისა.
ქუთაისიდან თბილისისკენ 12 საათზედ და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდან თბილისისკენ 8 საათ. დილისა.
ფოთიდან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილისა.
ფოთიდან ბათუმიდან მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.
ბაქოდან მომავალი შემოდის თბილისში 7 საათ. და 49 წამ. დილისა.